აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა უმაღლესი
საარჩევნო კომისიის 2025-2027 წლების
სტრატეგიული გეგმა

სამართლიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტებისა და პრინციპების შესაბამისად, ქვეყნის დემოკრატიის ქვაკუთხედია. ამომრჩევლის ინფორმირება და ჩართული მხარეების შესაძლებლობების განვითარება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების წინაპირობაა. უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიზანია, რეგიონში საჭირო ღონისძიებების გატარებით, უზრუნველყოს დემოკრატიული საარჩევნო პროცესის განვითარება და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება . სწორედ ამიტომ, უსკო სამწლიანი სტრატეგიული გეგმით განსაზღვრავს ადმინისტრაციის პრიორიტეტებს 2025-2027 წლებისთვის.

სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად შეირჩა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც წარმატებით იქნა გამოყენებული მსოფლიოს არაერთი ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ.

პროცესის ინიცირება - საარჩევნო ადმინისტრაციის სამწლიანი სტრატეგიის შექმნის მიზნით, უსკოს თავმჯდომარის 2025 წლის 13 თებერვლის N7 ბრძანების საფუძველზე, საარჩევნო ადმინისტრაციაში შეიქმნა სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სპეციალური სამუშაო ჯგუფი:

ა) **ნოდარ მელაძე** - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) **ტარიელ გოგიტიძე** - უსკოს მდივანი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

გ) **მაკა ლომაძე** - ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი - (სამუშაო ჯგუფის მდივანი);

დ) **რუსუდან ანანიაშვილი** -ინსტიტუციური განვითარების განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ე) **ირაკლი გვარჯალაძე** - უსკოს წევრი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ვ) **სულხან ჩოგაძე** - საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ზ)**ფრიდონ ბათნიძე** - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

თ) **ლევან სამნიძე** - საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ი) **ნესტან ნაკაშიძე** - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

კ)**გიორგი რიჟვაძე**-საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი).

1. სტრატეგიის შემუშავების გეგმის განსაზღვრა - სამუშაო ჯგუფის მიერ, განისაზღვრა სტრატეგიული გეგმის შემუშავების გრაფიკი, პასუხისმგებელი პირები და გაიწერა დეტალური სამოქმედო გეგმა.

2. ადმინისტრაციის სტრატეგიული საფუძვლების განსაზღვრა - სამუშაო ჯგუფის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა.

3. ორგანიზაციული შეფასება - საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზაციული შეფასება რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

სამუშაო ჯგუფი შეხვდა უსკოს ყველა დეპარტამენტს და უსკოს წევრებს. შეხვედრებზე განხილულ იქნა ცალკეული დეპარტამენტების მუშაობა. გაანალიზებული ინფორმაციის შესაბამისად განხორციელდა ორგანიზაციის საქმიანობის SWOT ანალიზი.

4. სტრატეგიული პრიორიტეტების და მიზნების განსაზღვრა - გაწეული სამუშაოს შედეგად გამოიკვეთა ძირითადი ტენდენციები, რის საფუძველზეც შემუშავდა ადმინისტრაციის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

5. სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავება და დამტკიცება - სამუშაო ჯგუფის მიერ, უსკოს დეპარტამენტებთან ერთად, განისაზღვრა ორგანიზაციის სტრატეგიული საქმიანობები, რაც გაიწერა სტრატეგიული დოკუმენტის ტექსტში. ასევე, დეპარტამენტებთან ერთად შედგა საქმიანობების განხორციელების გრაფიკი და განისაზღვრა მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა სია.

უსკოს მიერ დამტკიცდა საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმა.

6. სტრატეგიული გეგმის თანამშრომლებისთვის გაცნობა - სამუშაო ჯგუფის მიერ, დაიგეგმა სტრატეგიული გეგმის თანამშრომლებისთვის გაცნობა, რაც ითვალისწინებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებას საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული საქმიანობების განხორციელების პროცესში.

8. აღსრულება - სამუშაო ჯგუფის მიერ გაიწერა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცედურა. ასევე, შემუშავდა სტრატეგიული გეგმის განხორციელების შუალედური პროგრესის შეფასების სისტემა. სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა ხანგრძლივი პროცესია და ითვალისწინებს უსკოს მიერ გეგმის დამტკიცების შემდეგ მისი მომზადებისა და განხორციელების ყველა ფაზის მუდმივ ანალიზს. აუცილებლობის შემთხვევაში კი, შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

2020-2025 წლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად:

2020 წელს პანდემიის (COVIS-19) გამო უსკოს სამოქმედო გეგმაში გარკვეული ცვლილებები შევიდა. ქვეყანაში არსებული რეალობისა და საჭიროების გათვალისწინებით უსკომ განსაზღვრა საარჩევნო ადმინისტრაციის პრიორიტეტები და შექმნა მნიშვნელოვანი დოკუმენტი ორგანიზაციისთვის, რომელმაც ხელი შეუწყო არჩევნებში ჩართული მხარეების კომუნიკაციას, უპასუხა ახალ გამოწვევებს და გააუმჯობესა საარჩევნო გარემო რეგიონში.

შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომელმაც საშუალება მისცა საარჩევნო ადმინისტრაციას შეესრულებინა სტრატეგიული მიზნები. უსკოს ინიციატივით განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- **„არჩევნების ისტორია აჭარაში“** -აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ინიციატივით გამოიცა წიგნი „ არჩევნების ისტორია აჭარაში“. სახელმძღვანელოში მოცემულია აჭარის არჩევნების 130 წლიანი ისტორია. საარქივო მასალებზე დაყრდნობით ქრონოლოგიურად არის განხილული რეგიონში ჩატარებული არჩევნების თავისებურებანი და განხორციელებული ცვლილებები. „არჩევნების ისტორია აჭარაში“ არის გამოცემა, სადაც 1888 წლიდან დღემდე აჭარის რეგიონში ჩატარებული არჩევნების ისტორიაა თავმოყრილი.
- **“არჩევნები და დემოკრატია”** - უმაღლესი საარჩევნო კომისიის და ევროპის საბჭოს პროექტის „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში” თანამშრომლობის ფარგლებში გამოიცა საერთაშორისოდ რეფერირებადი, პერიოდული, საარჩევნო ჟურნალი “არჩევნები და დემოკრატია”.

უსკოს თანამშრომლები, პროფესიული უნარების გაზრდის მიზნით, აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ტრენინგსა და სემინარებში:

- „გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი და ინტერსექციული პერსპექტივები საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში“;
- „სიძულვილის ენასთან ბრძოლა და საარჩევნო პროცესები“;
- „ტრენერის პროფესიული უნარები და ონლაინ-სწავლების რესურსების გამოყენების ტექნიკა“ ;
- ,,შშმ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში’’;
- ,,ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის”;
- “გუნდური უნარების განვითარება”.

რეგიონში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების და ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებისათვის დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი აქტივობა:

- **,,ჩემი პირველი არჩევნები”-** აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა პროექტი ,,ჩემი პირველი არჩევნები’’. პროექტის მიზანია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

- **“ღია კარის დღეს სტუდენტებისათვის”**-სტუდენტების ჯეროვანი და სწორი ინფორმირება უსკოს-თვის მნიშვნელოვანია. შესაბამისად, შეხვედრები გაიმართა, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე, უსკოს ადმინისტრაციაში. სტუდენტებთან შეხვედრაზე განიხილებოდა ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა საარჩევნო პროცესში, ელექტრონული არჩევნები, უსკოს მუშაობის წესი და ა.შ. ხშირად, შეხვედრის ძირითადი დრო ახალგაზრდების კითხვებს და დისკუსიას ეთმობოდა. 2023 წლიდან 2024 წლის არჩევნებამდე სტუდენტებისთვის გამართული ყველა საინფორმაციო შეხვედრაზე იმიტირებული არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების დემონსტრირებით ტარდებოდა. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ თავად მიეღოთ მონაწილეობა იმიტირებულ კენჭისყრის პროცესში.

- **,,ჩემი ხმა დემოკრატიაში**'' - უმაღლესი საარჩევნო კომისიის და ევროპის საბჭოს პროექტის „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში” თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა-ესეების კონკურსი ახალგაზრდებისათვის ,,ჩემი ხმა დემოკრატიაში''.

- ტრენერთა ტრენინგი **,,იაზროვნე და ხმა მიეცი ჩარჩოებს მიღმა''** -აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის თანამშრომლობით ტრენერთა ტრენინგი ,,იაზროვნე და ხმა მიეცი ჩარჩოებს მიღმა'' დისტანციურ (ონლაინ) რეჟიმში გაიმართა.
- **„მედიის განვითარება და საარჩევნო პროცესების გაშუქების ახალი მიდგომები“** - რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის გაიმართა კონფერენცია „მედიის განვითარება და საარჩევნო პროცესების გაშუქების ახალი მიდგომები“ .
- **,,დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო”**-უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ, ევროპის საბჭოსთან და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრთან თანამშრომლობით სამუშაო შეხვედრა თემაზე ,,დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო” გამართა. სამუშაო შეხვედრას აჭარის რეგიონის სამოქალაქო განათლების პედაგოგები ესწრებოდნენ. მასწავლებლებს მიეწოდა ინფორმაცია არჩევნებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, მოეწყო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის პროცესის დემონსტრირება.

- **საერთაშორისო კონფერენცია-** აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიის და ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ორგანიზებით ბათუმში საარჩევნო ადმინისტრაციების მეთერთმეტე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მთავარი თემა იყო - „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და მასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია არჩევნებში“. კონფერენციაში სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების 100-ზე მეტი

წარმომადგენელი 25-ზე მეტი ქვეყნიდან მონაწილეობდა. საერთაშორისო კონფერენცია IFES Georgia და ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში თანამშრომლობით გაიმართა.

- **"მეტი ქალი გადაწყვეტილების მიღების პროცესში"** - უმაღლესი საარჩევნო კომისიისა და ევროპის საბჭოს პროექტ „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესების გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში" თანამშრომლობის ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა თემაზე "მეტი ქალი გადაწყვეტილების მიღების პროცესში". ღონისძიებას აჭარის რეგიონში მცხოვრები პოლიტიკური პარტიების ქალი წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის მთავარი თემა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებულ მონაწილეობა, დისკრიმინაციის ფორმები და პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმულირებისას თანაბარი ძალაუფლების მნიშვნელობა იყო.

- **გენდერული თანასწორობა** - უმაღლესი საარჩევნო კომისიის, აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) თანამშრომლობით რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს 2024 წლის საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული სიახლეები,საკანონმდებლო ცვლილებები. ასევე, ჩატარდა იმიტირებული კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასა და საკანონმდებლო სიახლეებთან დაკავშირებით 2022-2024 წლებში პერმანენტულად იმართებოდა საარჩევნო ადმინისტრაციების სამუშაო შეხვედრები.

საარჩევნო ადმინისტრაცია
მანდატი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან და იქმნება კანონის შესაბამისად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა უსკო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. არეგულირებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს არჩევნებში მონაწილეთა უფლებებსა და

გარანტიებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავის განხილვის წესს.

სტრუქტურა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:
1. უსკოსა და მისი აპარატისგან;
2. საოლქო საარჩევნო კომისიებისგან;
3. საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

უსკო

უსკო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

უსკოშედგება თავმჯდომარისა და 7 წევრისაგან. უსკოს თავმჯდომარე იმავდ როულად არის უსკოს წევრი. უსკოს თავმჯდომარესა და 7 წევრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

საარჩევნო პერიოდში უსკოს მუდმივ შემადგენლობას ემატება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" განსაზღვრული პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დანიშნული წევრები. უკოს თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.

სამართლიანი, სანდო, გამჭვირვალე არჩევნების ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველ ყოფს უსკოს
აპარატი, რომელიც მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით, ახორციე ლებს საარჩევნო
ადმინისტრაციის საქმიანობის ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ტექნიკურ მხარ დაჭერას.

საოლქო საარჩევნო კომისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებისას, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიები ექვემდებარება უსკოს.

საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმ ოქმედი
ტერიტორიული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო ოლქ ში უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვარო ვან გამოყენებას.

საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შედის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრი. არჩევნების დანიშვნის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის 9 წევრს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" დადგენილი წესით ნიშნავენ შესაბამისი პარტიები, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის 3 წევრს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით ირჩევს უსკო შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დროის მონაკვეთით.

პარტიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დანიშვნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, თუ უფლებამოსილი პარტიები ამ პუნქტით დადგენილ ვადაში არ დანიშნავენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, უსკოს ამ ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა 17-მდე შეავსოს.

საუბნო საარჩევნო კომისია

საუბნო საარჩევნო კომისია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტე რიტორიული
ორგანოა, რომელიც უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო უბნის საქართველოს საარჩევ ნო
კანონმდებლობის შესრულებას, კენჭისყრის დროს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობი თ
დადგენილი პროცედურის დაცვას, ამომრჩეველთა, წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლ ებების გამოყენებასა და დაცვას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საარჩევნო პერიოდში იქმნება დაახლოებით 319 საუბნო საარჩევნო კომისია. რომელიც შედგება არაუმეტეს 17 წევრისგან. აქედან 8 წევრს ირჩევს შესაბამისი ზემდგომი საარჩევნო კომისია, ხოლო 9 წევრი ინიშნება საქართვე ლოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" განსაზღვრული პოლიტიკური გაერთიანების მიერ.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სანდოობისა და ცნობადობის ზრდა, ადამიანური რესურსების განვითარება და მისი ეფექტიანი მართვა		
სტრატეგიული მიზანი 1 *ინსტიტუციური განვითარება*	**სტრატეგიული ამოცანა 1**: საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების პროფესიული ზრდა	**სტრატეგიული საქმიანობა** • უსკოს თანამშრომლების გადამზადება მათი მონაწილეობა ტრენინგ-სემინარებში
სტრატეგიული მიზანი 2: *სანდოობის და ცნობადობის ზრდა*	სტრატეგიული ამოცანა 2 : საარჩევნო ადმინისტრაციის და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა	სტრატეგიული საქმიანობა • ღია კარის დღეების ორგანიზება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის • საგამომცემლო საქმიანობა • უსკოს თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან • მედია საშუალებებთან მჭიდრო კომუნიკაცია

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: რეგიონში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, ამომრჩეველთა ინფორმირება უსკოს საქმიანობის გამჭვირვალობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონის ამაღლება, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდა სასწავლო- საინფორმაციო პროგრამების შემუშავება/განხორციელება		
სტრატეგიული მიზანი 1: საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება	**სტრატეგიული ამოცანა1:** ღონისძიებების შემუშავება 2024 წლის აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შეგეგად გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ სასწავლო საინფორმაციო პროგრამების განხორციელება სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან სამოქალაქო პასუხისმგებლობის და ამომრჩეველთა აქტივობის ზრდა. დაინტერესებული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება	**სტრატეგიული საქმიანობა** • საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის განმტკიცება • ახალგაზრდა ამომრჩევლების ინფორმირება საგანმანათლებლო საქმიანოს წარმოება • რეკომენდაციების მომზადება კანონმდებლობის დასახვეწად • არჩევნებში ჩართულ მხარეთა ინფორმირება/გადამზადება • სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ინფორმირება • შშმ პირებთან შეხვედრების ორგანიზება და მათი

		ინფორმირება ხელმისაწვდომი სერვისების არსებობის შესახებ • გენდერულ საკითხებზე შეხვედრების ორგანიზება • ეთნიკურ უმცირესობებთან შეხვედრების ორგანიზება